პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
31 დეკემბერი
1941 წ.
№ 311 (6316)
ფასი 15 კაპ.

კავკასიის ფრონტის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. კოზლოვს
შავი ზღვის ფლოტის სარდალს ვიცე-ადმირალ ამხ. ოქტიაბრსკის

გილოცავთ მტერზე გამარჯვებას და ქალაქისა და სიმაგრე ქერჩის და ქალაქ ფეოდოსიის განთავისუფლებას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

მივესალმები გენერალ პერვუშინისა და გენერალ ლვოვის მამაც ჯარებს და 1-ლი რანგის კაპიტან ბასისტის საომარი გემების ჯგუფის სახელოვან მეზღვაურებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ყირიმის განთავისუფლებას.

ყირიმი განთავისუფლებულ უნდა იქნას გერმანელი დამპყრობლებისაგან და მათი რუმინელ-იტალიელი დამქაშებისაგან.

მოსკოვი, 1941 წ. 30 დეკემბერი.

ი. სტალინი

ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქერჩი და ფეოდოსია

29 და 30 დეკემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების ჯგუფმა, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთმოქმედებით, დესანტი გადასხა ყირიმის ნახევარკუნძულზე და მედგარი ბრძოლების შემდეგ დაიკავა ქალაქი და სიმაგრე ქერჩი და ქალაქი ფეოდოსია.

ქერჩისა და ფეოდოსიის დაკავებისას განსაკუთრებით ისახელეს თავი გენერალ პერვუშინისა და გენერალ ლვოვის ჯარებმა და სამხედრო-საზღვაო ძალთა ჯგუფმა, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი ბასისტი მეთაურობს.

მტერი, რომელსაც ჩვენი ჯარის ნაწილები სდევნიან, უკან იხევს ორივე უბანზე. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელსაც ვითვლით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ახალი და დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის დაახლოების გზაზე

[illegible]

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანელთა მიერ ოკუპირებული სხვა ქვეყნების სახით. აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობანათი და რევოლუციის აჩრდილით დაშინების თამაშის გერმანული პოლიტიკა ამოწურა და უკვე აღარ ვარგა ახალი ვითარე-

გორც ევროპის, ისე ამერიკის ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ლონისძიებების გაერთიანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურებისათვის. ჰიტლერის სისხლიანმა გზამ, ვის

მლობის შემდგომ ნაყოფიერ განვითარებაში, რწმენას, რომ ახლოვდება ჰიტლერულ გერმანიაზე, კაცობრიობის უბოროტეს მტერზე გადამწყვეტი გამარჯვების ჟამი.

„პრავდის" მოწინავე, 30/XII.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 დეკემბრის დილის ცნობა

29 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

ამხ. ნაუმოვის ქვეგანაყოფმა (დასავლეთის ფრონტი) მტრის წინააღმ-

[illegible]

ბაქანისაგან შემდგარი მატარებელი. პარტიზანების მიერ ჩაწყობილმა ნაღმებმა ააფეთქა მტრის 3 ავტომანქანა საომარი მასალითურთ და ერთი ავტომანქანა გერმანელ მფრინავთა ჯგუფიანად. მარტო უკანასკნელ დღეებში რაზმმა „დროშნიმ" დახოცა 11 ფაშის-

[illegible]

ზურგში გერმანელები გარყვნილებას ეწევიან, აუპატიურებენ ფინელ ჯარისკაცთა ცოლებს. ფრონტიდან დაბრუნებულმა ერთმა დაჭრილმა ფინელმა ჯარისკაცმა მოჰკლა გერმანელი, რომელიც მის ცოლს დასდევდა".

* * *

[illegible]

30 დეკემბრის საღამოს ცნობა

[illegible]

ნაღმსატყორცნი, 50 ავტომანქანა, 3.650 ყუმბარა, 1.000 ნაღმი, 25.000 ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ

[illegible]

წარმატება მოიპოვა. პარტიზანებმა კავშირი დაამყარეს საბჭოთა ჯარის ერთ ნაწილთან და ზურგიდან იერიში მიიტანეს გერმანელთა 72-ე ქვეითი დივიზიის „სს" 1-ლ ბატალიონზე.

[illegible]

მი 1941 წელს შეტანილია 2.400 რაციონალიზატორული წინადადება. 1.200 წინადადება უკვე განხორციელებულია და წლიურად 9 მილიონ მანეთ ეკონომიას მისცემს წარმოებას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სათავდაცვო პროდუქციის გამოშვების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 29 დეკემბერი.

საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

სათავდაცვო პროდუქციის გამოშვების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან **ლენინის ორდენით:** ი. ი.

[illegible]

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 18 კაცი: ს. ა. ბატანოვი — ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილე, ნ. ი. ბუინოვი — საამქროს უფროსი ოსტატი, კ. ვ. ვლასოვი — ქარხნის მთავარი ტექნოლოგი,

[illegible]

კუტოვი — მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი, ა. მ. ლიფშიცი — მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი, ა. ი. ლიახოვი — ინსტრუმენტის საამქროს სტახანოველი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 20 კაცი: ა. კ. ენიშევი — საამქროს უფროსი ოსტატი, ს. პ. ზიმინი — ჩარხების ქარხნის ზეინკალი, ლ. ვ. კოსტკინი — საექსპერიმენტო განყოფილების კონსტრუქტორი, ნ. ფ. კოჩეტკოვი — ავტოქარხნის საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის პირველი მდივანი, ა. ს. კუზმინი — სატვიფრო საამქროს ზეინკალი და სხვები.

[illegible]

ფრიევი — ჩარხების ქარხნის საამქროს უფროსი, პ. ი. აფანასიევი — № 176 ქარხნის პარტკომის მდივანი, წინათ მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებული, ა. მ. არავინი — საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსი, ა. ი. ბარანოვი — მწნეხავი, ე. ი. დემინა — № 176 ქარხნის მჭედელი და სხვები.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 75 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 101 კაცი (სატელი).

ამხ. კ. გ. ბერეჟიანის დაჯილდოება

(მოსკოვი. „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენი-

სათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა პოლიტხელის მოადგილე კონსტანტინე გიორგის-ძე ბერეჟიანი.

„საქართველოს ჩაიმ" წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა

საქართველოს ჩაის მრეწველობამ ვადამდე ადრე შეასრულა შავი და მწვანე ბაიხის ჩაის გამომუშავების გეგმა. გამომუშავებულია რამდენიმე ასეული ტონით იმაზე მეტი შავი და მწვანე ბაიხის ჩაი ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა უცვლელ ფასებში შესრულებულია გადაჭარბებით.

თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ გეგმით გათვალისწინებულზე მეტი განწონილი ჩაი გამოუშვა.

„საქართველოს ჩაის" ტრესტის ჩაის საწონმა ფაბრიკებმა სახელმწიფოს 594 ტონით იმაზე მეტი აგურა ჩაი ჩააბარეს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" დირექტორი ლ. ნანეიშვილი.

წლიური გეგმების შესრულება

[illegible]

წლის ბოლოსათვის ქარხანამ ქვეყანას გეგმის გადაჭარბებით მისცა ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

* * *

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ 4 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება. ქარხნის კოლექტივმა დამატებით სამშობლოს მისცა ათას ტონობით მაღალხარისხოვანი შენადნობი.

მარტო ათ თვეში ქარხანამ დაზოგა 4.054.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, აგრეთვე დიდძალი კვარციტები, სითბო, მარგანეცი, ალუმინი. ქარხანამ გეგმით გათვალისწინებული 3 პროცენტის ნაცვლად პროდუქციის თვითღირებულება 9 თვეში 10,5 პროცენტით შეამცირა.

* * *

სამტრესტის ღვინის მე-2 ქარხანამ (დირექტორი მ. პირველი) 17 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა.

გეგმის გადამეტებით ქარხანამ უცვლელ ფასებში ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

„ტყვარჩელქვანახშირმა" შეასრულა წლიური გეგმა

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 28 დეკემბრისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების 1941 წლის სახელმწიფო გეგმა.

ტრესტის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ გეგმის გადამეტებით მისცემს ქვეყანას ასეულობით ტონა ქვანახშირს.

დათუაშვილი, ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" მმართველი.
ნიკოლაევი, მთავარი ინჟინერი.
ხუნტუა, პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესიის გახსნისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესია გაიხსნება 1942 წლის 3 იანვარს დღის 12 საათზე ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 1941 წლის 31 დეკემბერს და 1942 წლის 1 და 2 იანვარს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში (ოთახი № 4, ტელეფ. № 3—70—68) დილის 9 საათიდან ღამის 12 საათამდე, ხოლო 3 იანვარს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში დილის 9 საათიდან.

სამამულო ომის ფრონტებზე

„სოლნეჩნოგორსკის პლაცდარმისათვის ბრძოლა“

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გენერალ-მაიორი ვლასოვი „კრასნაია ზვეზდაში“ მოთავსებულ სტატიაში „სოლნეჩნოგორსკის პლაცდარმისათვის ბრძოლა“ მოგვითხრობს მტრის ლიკვიდაციის შესახებ იმ უბანზე, სადაც მან შესძლო ყველაზე უფრო მეტად მოახლოებოდა დედაქალაქს, დაეკავებინა კრასნაია პოლიანა და სადგური ლუგოვაია.

„სოლნეჩნოგორსკის წყლულის ლიკვიდაციას,—სწერს ვლასოვი,—პირადად ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი.—ეს ოპერაცია მოიფიქრა და დაამუშავა მან. ჩვენ არაერთხელ მიგვიღია ამხანაგ სტალინის მითითება — გვემოქმედნა ისე, რომ გარს შემოვრტყმოდით მტერს, მოგვესპო მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. ჩვენ შევასრულეთ სტალინის მითითება. ამან უზრუნველჰყო ოპერაციის წარმატება. კრასნაია პოლიანასათვის ბრძოლა, რომელშიც ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდიოდა, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ჩვენი ჯარების შეუპოვრობა და მტკიცე ნებისყოფა წარმატებით დაგვირგვინდა. ჩვენი ჯარები თანდათანობით ანხორციელებდნენ ფლანგებიდან შემოვლას და გარს ერტყმოდნენ გერმანელთა დაჯგუფებას კრასნაია პოლიანასთან. ერთიმეორის მომდევნო მთელი რიგი დარტყმებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კრასნაია პოლიანა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მტერმა სწორედ აქ განიცადა პირველი დარტყმა. იგი შედრკა და დაიწყო დასავლეთისაკენ უკანდახევა. ფრონტის ჩვენს უბანზე სწორედ კრასნაია პოლიანიდან დაიწყო გერმანიის ჯარების განადგურება, მათი უწესრიგოდ გაქცევა“.

სოლნეჩნოგორსკამდე, მდინარე ისტრის ზღუდემდე და ისტრის წყალსაცავამდე გერმანელები ისე იხევდნენ უკან, რომ თითქმის არ გაუწევიათ წინააღმდეგობა. სოლნეჩნოგორსკი აღებულ იქნა დასავლეთიდან და სამხრეთიდან შემოვლითი მოძრაობით. სოლნეჩნოგორსკის პლაცდარმისათვის ბრძოლის დღეები დიდი გარდატეხის დღეები იყო. მათ ჩვენი მებრძოლების დიდი შეტევითი აღფრთოვანება ახასიათებდა.

ვ. ყარა-მურზა

ფაშისტი ოფიცრის საინტერესო აღიარება

დასავლეთის ფრონტი, 28 დეკემბერი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ბრძოლის ველები დაფარულია ღრმა თოვლით. „მდგომარეობა ჩვენთვის მეტად მძიმეა, — განაცხადა დაკითხვისას ტყვე გერმანელმა ლეიტენანტმა კარლ ერნსტმა,—მომარაგების გზები მეტად გაჭიმულია, და ზამთრის პირობებში, ნამქერის გამო, მეტად ძნელია მასალის მოზიდვა.

ჩვენს ოცეულში 35 კაცია. აქედან რამდენიმე დამზრალია. თბილი ტანსაცმელი არა გვაქვს და არც აპირებენ მოცემას. მე რუსეთში რამდენიმე დღის წინათ მოვედი და თითები უკვე დამზრალი მაქვს“.

საინტერესოა, რომ ლეიტენანტი კარლ ერნსტი აღმოსავლეთის ფრონტზე საფრანგეთიდან გამოუგზავნიათ სხვა ოფიცრებთან ერთად.

(29 დეკემბრის „პრავდა“).

სერჟანტი შაქრო ხიტალიშვილი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

როგორც გაზ. „სტალინსკი სოკოლი“ სწერს, სერჟანტი ხიტალიშვილი აეროდრომს რომ უახლოვდება, ყველა იცნობს ხოლმე მის მანქანას. იგი გამოირჩევა ჰაეროვანი სვლით. ოცდახუთჯერ წაუყვანია სერჟანტს თავისი მოიერიშე თვითმფრინავი საბრძოლო საქმეზე, ოცდახუთჯერ დასხმია გრიგალივით თავს მტრის ტანკებისა და ავტომანქანების კოლონებს. ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ელეტდა ფაშისტთა ქვეითა ჯარს. სერჟანტს თავი როდი მოაქვს თავისი წარმატებებით.—დავალება შესრულებულია,—ჩვეულებრივ ასე მოკლედ მოახსენებს ხოლმე იგი მეთაურს.

თვითმფრინავთა ჯგუფი გაფრინდა მტრის კოლონაზე იერიშის მისატანად. სერჟანტს თავისი თვითმფრინავი ლეიტენანტ ავდონინის თვითმფრინავთან დაწყვილებული მიჰყავდა. ფაშისტებს უკვე მოესწროთ სოფელში შესვლა, განლაგება და შენიღბვა. მაგრამ ავდონინის ნაცადმა თვალმა გზის პირად შეამჩნია რამდენიმე ჩამორჩენილი ავტომანქანა, გაარჩია თვლებისა და მუხლუხების ღრმა ნაკვალევი. ორმა მოიერიშე თვითმფრინავმა დაბლა ფრენით გადაუარა გზას. პირველი ბომბები ზუსტად მოხვდა ნიშანში. ეს სიგნალი გახდა მთელი ჯგუფისათვის. ამუშავდა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. გერმანელები გონს მოვიდნენ, ასტეხეს საზენიტო ქვემეხების სროლა. მტრის ზარბაზნები გააფთრებით ისროდნენ. ხიტალიშვილი ოსტატურად არიდებდა თვითმფრინავს იმ ადგილებს, სადაც ყუმბარები სკდებოდა. მან მოძებნა მტრის საზენიტო ქვემეხი და რამდენიმე ყუმბარა ესროლა. მტერი ჩაჩუმდა. მფრინავმა კიდევ რამდენჯერმე გადაუარა სოფელს, ვიდრე მთელი საომარი მასალა არ დახარჯა.

უკან დაბრუნებისას მოტორმა მტყუნება დაიწყო, ზეთის ტემპერატურამ აიწია. მოტორი ქანიანობდა, გზა კი ჯერ კიდევ დიდი იყო. თვითმფრინავი სიმაღლეს ჰკარგავდა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. მფრინავებმა დიდი ხანია შეამჩნიეს რომ სერჟანტის მოიერიშე თვითმფრინავი დაზიანებული იყო და თვიანთი მანქანებით ცდილობდნენ დაეფარათ მეგობარი. დაბლა ნაცნობი ადგილები გამოჩნდა. ხიტალიშვილმა შეხედა რუკას, შეადარა ადგილმდებარეობას. ფრონტის ხაზი უკან ალმოჩნდა. თვითმფრინავი მსუბუქად შეეხო მიწას. მალე აეროდრომიდან მოვიდნენ ტექნიკოსები, შეაკეთეს მოტორი. თვითმფრინავი მორჩილად დაჰყვა მფრინავის ნებას და ჰაერში აჭრიალდა.

სერჟანტ ხიტალიშვილის საბრძოლო ოსტატობასა და უშიშრობაზე აღტაცებით ლაპარაკობენ პოლკის მფრინავები. მის შესახებ ბევრი რამ იცის მისმა მეთაურმა კაპიტანმა ფედიანინმა. საბრძოლო ცხოვრებამ მტკიცე მეგობრობით დააკავშირა ერთმანეთთან ასაკითა და წოდებით ეს სხვადასხვა მფრინავები. ფედიანინი ყველაზე ხშირად ხიტალიშვილთან ერთად გაფრინდება ხოლმე. კაპიტანმა იცის, რომ სერჟანტი არ უმტყუნებს, ყოველთვის იპოვის გამოსავალს, ყოველთვის შეასრულებს დავალებას. ხიტალიშვილიც მტკიცედ მიჰყვება თავის მეთაურს.—კაპიტანი სადაც უნდა იყოს მოძებნის მიზანს, მიგაგნებინებს მტერს,—ამბობს ხიტალიშვილი,— და გაჭირვებაშიც არ მიგატოვებს.

ერთხელ ორ მოიერიშე თვითმფრინავს თავს დაესხა ოთხი „მესერშმიტი“. კაპიტანი და სერჟანტი მტკიცედ ჰფარავდნენ ერთმანეთს. ასე მანევრირებით მიდიოდნენ თვით მიზნამდე, მტერი შეცდომაში შეჰყავდათ. მტრის თვითმფრინავები უკან მისდევდნენ. კოლონის თავზე იქუხეს საზენიტო ქვემეხებმა. მაშინ „მესერშმიტები“ ჩამოშორდნენ. ჩვენმა მოიერიშეებმა კი ამასობაში ჩამოყარეს ბომბები და ტყვიებით დაცხრილეს კოლონა.

ამასწინათ ხიტალიშვილმა გადაწყვიტა შესულიყო ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. მას რეკომენდაცია მისცა ორდენოსანმა კაპიტანმა ფედიანინმა. ერთად შესრულებული საბრძოლო საქმეების შედეგი იყო ეს რეკომენდაცია. მფრინავმა ხიტალიშვილმა იგი თავისი სიმამაცით, უშიშრობით და ხალხისადმი პატიოსანი სამსახურით დაიმსახურა.

ვ. ყარა-მურზა

ბულგარეთის მიერ ინგლისისათვის ომის გამოცხადების გამო

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ოფიციალურად იუწყება, რომ ინგლისის მთავრობას ოფიციალური ცნობა არ მიუღია ბულგარეთის მთავრობისაგან ომის გამოცხადების შესახებ. ინგლისის მთავრობას აცნობა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელმაც თავის დროზე იკისრა ბულგარეთში ინგლისის ინტერესთა დაცვა, იმის შესახებ, რომ 13 დეკემბერს ბულგარეთის პარლამენტში გამოაქვეყნეს ცნობა დიდი ბრიტანეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ. ინგლისის მთავრობამ, მხედველობაში მიიღო რა ზემოაღნიშნული ინფორმაცია, გამოაცხადა, რომ 13 დეკემბრიდან დიდ ბრიტანეთსა და ბულგარეთს შორის ომის მდგომარეობაა.

ამერიკის ყოფილი ბულგარელი ელჩის განცხადება

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, 27 დეკემბერს იქ ჩასულმა ამერიკის ბულგარელმა ელჩმა ერლმა განაცხადა, რომ ბულგარელებმა მოულოდნელად შესცვალეს მარშრუტი, რომლითაც ამერიკის მისიის თანამშრომლებს უნდა ემგზავრათ. ფიქრობენ მარშრუტის შეცვლა იმით იყო გამოწვეული, რომ ბულგარეთის ხელისუფლებმა იცოდნენ, რომ გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ ინციდენტი გამოეწვიათ.

შვეციის პრესამ საკადრისი პასუხი გასცა ნაცისტთა აგენტის გამოსვლას

სტოკჰოლმი, 29 დეკემბერი (საკდესი). სტოკჰოლმის გაზეთები საკადრის პასუხს აძლევენ ცნობილი ჰიტლერელის სვენ გედინის თავხედურ ფაშისტურ გამოსვლას ფინეთის ჟურნალ „სუომენ კუვალეხტში“. ფაშისტების ეს აგენტი, რომელიც გაბოროტებულია ლენინგრადთან ჰიტლერის ჯარების დამარცხებით, ნაცისტ დამრბევებს მოუწოდებს „სავსებით მოსპონ ლენინგრადი მთელ მოსახლეობასთან ერთად“.

„სვენ გედინს,—სწერს ამის გამო გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“, — ავიწყდება, რომ იგი არის ქვეშევრდომი ნეიტრალური ქვეყნისა, რომელსაც მისმა უტიფარმა გამოსვლამ შეიძლება ზიანი მიაყენოს. მისი ცინიკური განცხადება იმის შესახებ, რომ ლენინგრადი მიწასთან უნდა იქნას გასწორებული,—ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ამასთან ერთად ბაქია სვენ გედინს სურს მისცეს ფინეთს აღმოსავლეთი კარელია და მოითხოვს, რომ შვეციამ განუსაზღვრელი დახმარება გაუწიოს ფინელებს. საეჭვოა, რომ სვენ გედინის ასეთმა გამოსვლებმა დიდი სარგებლობა მოუტანოს მის ფინელ და გერმანელ მეგობრებს“.

გაზეთი „არბეტარენი“ სწერს: „სვენ გედინის გამოსვლა აშკარად მოწმობს იმას, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს გერმანიის თაყვანისმცემელი შვედი ნაცისტი. სვენ გედინის მოწოდება არა მარტო სულელურია, არამედ წარმოადგენს უტიფარ გალაშქრებას რუსეთისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ, იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ლენინგრადი ააშენა და გადააქცია ეს ქალაქი იმად, რაც იგი დღეს არის“. გაზეთი მოითხოვს თავაშვებული ფაშისტის ალაგმვას. „სვენ გედინი შვეციისათვის საშიშია“, — აცხადებს „არბეტარენი“.

ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა და მეწარმეთა წარმომადგენლების კონფერენციის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 30 დეკემბერი (საკდესი). პროფკავშირთა და მეწარმეთა წარმომადგენლების კონფერენციის თავმჯდომარე დევისმა გამოაცხადა: კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ომიანობის დროს თავი შეიკავონ გაფიცვებისა და ლოკაუტებისაგან. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ ყველა შრომითი კონფლიქტი არბიტრაჟის გზით გადაიჭრას. კონფერენციამ პრეზიდენტს ურჩია შექმნას სპეციალური კომიტეტი ომიანობის დროს შრომითი კონფლიქტების განსახილველად.

დევისმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ რუზველტმა მოიწონა კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება და დაჰპირდა დაუყოვნებლივ შეჰქმნას კომიტეტი შრომითი კონფლიქტების განსახილველად. თავის მიმართვაში, რომელიც კონფერენციის მონაწილეთა შეთანხმებას ეწონებს, რუზველტი აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება შრომის ყველა კონფლიქტზე უნდა გავრცელდეს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება: მეწარმეთა წარმომადგენლებმა გაილაშქრეს იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ახლად შექმნილმა კომიტეტმა განიხილოს აგრეთვე ის კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნასთან — სამუშაოზე მხოლოდ პროფკავშირების წევრები მიიღონ. ამავე დროს ისინი დათანხმდნენ იმაზე, რომ ამ საკითხში გადამწყვეტი სიტყვა რუზველტს ეკუთვნის.

ამერიკის ახალი მსუბუქი კრეისერი

ლონდონი, 26 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს, რომ მწყობრში ჩადგა ამერიკის ახალი მსუბუქი კრეისერი, რომლის წყალწყვა 6 ათას ტონას უდრის. სააგენტო აღნიშნავს, რომ თავისი სიჩქარისა და საცეცხლე სიმძლავრის მიხედვით ეს ერთ-ერთი საუკეთესო ხომალდია ამავე ტიპის ხომალდთა შორის მთელ მსოფლიოში.

„გერმანელი დამპყრობნი ჰუნებზე გაცილებით უარესნი არიან“

„ტაიმსი“ გერმანელი ნაცისტების მიერ რუსული კულტურის ძეგლების შებილწვის შესახებ

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). „ტაიმსი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „გერმანელმა დამპყრობლებმა იასნაია პოლიანაში მოსპეს ტოლსტოის სახლი. კორესპონდენტმა გვაცნობა, რომ ხეებიც კი მოსპობილია პარკში. დაზიანებულია ჩეხოვის სახლი, აგრეთვე სახლი, სადაც ყველაზე სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი ცხოვრობდა. შესაძლებელია, რომ ტოლსტოის საყვარელი ხეები შეშად გამოიყენეს გერმანელთა ჯარებისათვის.

ჩვენ ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ გერმანელთა „ბარბაროსობასა“ და „უმიზნო ნგრევაზე“, რასაც სჩადიან გერმანელები და რაც მათ ასწავლეს თავიანთ მოკავშირეებს, თუ კი ასეთი სწავლება საჭიროებოდათ. ტოლსტოის, ჩეხოვისა და ჩაიკოვსკის სახლები უმიზნოდ არ მოუსპიათ, და ეს ბარბაროსობა კი არ არის, — განაგრძობს გაზეთი,—ეს არის შეგნებული აქტი, ჩადენილი ისეთი მოსაზრებებით, რომლებსაც ვერც ერთი ბარბაროსი ვერ გაიგებდა. უკვე დროა გავამართლოთ ჰუნები, გუთები და ვანდალები დაუმსახურებელი ბრალდებისაგან, რომ ისინი თანამედროვე გერმანელ დამპყრობთ მოგვაგონებენ. გერმანელი დამპყრობნი ჰუნებზე გაცილებით უარესნი არიან.

ძველი დროის სისხლმოწყურებული ბარბაროსები არ დასწვავდნენ ღია ქალაქებს, არ გახოცავდნენ უმწეო მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. თუ ბარბაროსს გზაში ბიბლიოთეკა შეხვდებოდა, დასწვავდა მას. მაგრამ გენიოსის ძეგლის შებილწვა ბარბაროსობა როდია. ეს უფრო საზიზღარია, ვიდრე ნგრევის ბრმა წყურვილი, რადგან აქ გულდასმით შერჩეულია მხვერპლი და შებღალულია სული. სიტყვები „ცივილიზებული ბარბაროსობა“ და „ცივილიზაციის ბარბაროსობა“ ვერ გადმოგვცემენ ცივილიზებული შეგნების ამ ზნედაცემულ დაყვანას დახელოვნებულ ბარბაროსობამდე. ეს არის შეგნებული, თეორიულად დასაბუთებული მხეცობა ბარბაროსს არ ეცოდინებოდა, რომ ტოლსტოის, ჩეხოვისა და ჩაიკოვსკის სახლები ყველაზე მგრძნობიარე ადგილებია, რომელთა შებილწვამ შეიძლება მძიმე ჭრილობა მიაყენოს რუს ხალხს. ინტელექტუალური კულტურის მემკვიდრეობის მქონე გერმანელებმა კი ეს იცოდნენ, და მათ დახელოვნებული სისასტიკის იარაღად გადააქციეს ეს მემკვიდრეობა. ამაში მდგომარეობს საზიზღრობა.

როგორც ერთმა ავტორმა რედაქციისადმი მიმართულ წერილში სთქვა, ეს სატანისებური ველურობაა. და, მართლაც, ეს დახელოვნებულობა უფრო სატანისებურია ვიდრე ადამიანური. ეს არის არა მატერიალური ზარალი, რომელიც ბარბაროსული თავდასხმის ერთად-ერთ მიზანს და ყოველი ომის მთავარ მიზანს შეადგენს. აქ არის პირდაპირი შებღალვა ადამიანის სულისა იმ მიზნით, რომ გასტეხონ ეს სული და უფრო მტკიცედ ჩააგდონ ყველა დამარცხებული აბსოლუტურ მონობაში, რომელიც ყველა ხალხისათვის შავბნელ ღამედ უნდა გადაიქცეს.

რუსებმა იციან, თუ რა ბოროტების წინააღმდეგ იბრძვიან, ამიტომ ისინი კიდევ უფრო მეტი გააფთრებით იბრძვიან და შურს იძიებენ იმ სულიერი ჭრილობისათვის, რომელიც დახელოვნებულმა საზიზღრობამ მიაყენა მათ ნაციონალურ სიამაყეს.

იმას, რაც რუსეთში მოხდა, შეუძლია ყველა თავისუფალი ხალხი მტკიცედ დაარწმუნოს, რომ აუცილებელია ვიხსნათ კაცობრიობა ამ გარყვნილებისაგან, რომელსაც სულის დამონება სწადია“.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის ფილიპინების ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მინდანაოს კუნძულის სამხრეთ სანაპიროსთან ამერიკის ბომბდამშენებმა ჩასძირეს იაპონიის სულ მცირე ერთი ტრანსპორტი ჯარებიანად. მტრის ავიაციის თავდასხმის დროს ამერიკის ორი საესკადრო ნაღმოსანი უმნიშვნელოდ დაზიანდა. მსხვერპლი არა ყოფილა. ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროსთან მტრის წყალქვეშა ნავები კვლავ მოქმედებენ გემების ხაზებზე. ფილიპინის კუნძულების ჩრდილოეთის ფრონტზე მტერი მცირე აქტივობას იჩენს.

ლინგაიენის ყურის რაიონში იაპონიის ჯარები, როგორც სჩანს, გადაჯგუფებას ახდენენ მდინარე აგნოს გაღმა და სამხრეთისაკენ წასაწევად ემზადებიან. უკანასკნელ ხანს, ამერიკის ჯარების გადამწყვეტი მოქმედებია მეოხებით, იაპონიის ჯარების წინსვლის ტემპი მნიშვნელოვნად შენელდა. დამორტისის უბანზე იაპონელებს დიდი მაშველი ძალები მოუვიდათ. ლამონის რაიონში გააფთრებული ბრძოლაა. მტერს განუწყვეტლივ მოსდის მაშველი ძალები იმ ტრანსპორტებიდან, რომლებიც ლინგაიენის ყურეში, აგრეთვე ანტიმონანის მახლობლად იმყოფებიან.

სამხრეთის ფრონტზე იაპონიის ჯარები მოძალებას აძლიერებენ.

28 დეკემბერს, შუადღისას, იაპონიის თვითმფრინავებმა ახალი თავდასხმა მოახდინეს მანილაზე. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 9 თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). იაპონიის ჯარებმა მას შემდეგ, რაც მაშველი ძალები მოუვიდათ, წინსვლა განაახლეს მალაიის სამხრეთისაკენ. მათს უახლოეს მიზანს წარმოადგენს ქალაქ იპოს დაკავება. ინგლისის სინგაპურის ძალთა სარდლობის დღევანდელ კომუნიკეში ნათქვამია, რომ პერაკში ინგლისის ჯარები ბრძოლას ეწევიან ქალაქ იპოს რაიონში. 28 დეკემბერს იაპონიის მოწინავე ნაწილები ინგლისის ჯარებს შეხვდნენ ჩიმორის რაიონში. იაპონელთა იერიში მოგერიებულ იქნა მათთვის დიდი ზარალით. ფრონტის ამ უბანზე მეორე პუნქტში იაპონიის ჯარები ცდილობენ გადალახონ მდინარე პერაკი; მაგრამ იაპონელებს დიდ დაბრკოლებას უქმნის ინგლისის არტილერია; მას ხელსაყრელი პოზიციები უჭირავს ბორცვებზე, რომლებიც მდინარეს დაჰყურებენ.

აღმოსავლეთ სანაპიროზე, კუანტანის რაიონში, იაპონიის რამდენიმე თვითმფრინავმა დაბომბა და ტყვიამფრქვევები დაუშინა ინგლისის ჯარების პოზიციებს.

ჩრდილოეთ პერაკში ინგლისის ჯარები 22 დეკემბერს იაპონიის ჯარებს ჩაუსაფრდნენ. ჩასაფრებულებმა დაუბრკოლებლივ გავლის საშუალება მისცეს მტრის მზვერავებს, რომლებიც მოტოციკლებით მიიწევდნენ, ხოლო შემდეგ მთავარი ძალები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, ინგლისის ჯარების ძლიერ ცეცხლქვეშ მოხვდნენ.

სარავაკიდან (ბორნეო) მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ იაპონიის ჯარებმა კუჩინგის ოკუპაცია მოახდინეს.

წუხელ ინგლისის ბომბდამშენები კვლავ დაესხნენ თავს სუნგეის აეროდრომს, რის შემდეგადაც რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. დაზვერვის ცნობები ადასტურებენ, რომ წინა ღამით იმავე ობიექტზე თავდასხმის დროს მოსპობილ იქნა მტრის 7 ავიაგამანადგურებელი და 3 მძიმე ბომბდამშენი, ამასთან რამდენიმე ავიაგამანადგურებელი ძლიერ დაზიანდა.

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). მელბურნიდან მიღებული ცნობების თანახმად, ავსტრალიის ავიაციამ იერიში მიიტანა იაპონიის საწყობებისა და ნაგებობათა წინააღმდეგ გრინვიჩის კუნძულებზე.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობა

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). ბატავიიდან მიღებული ცნობებით, 28 დეკემბერს, ნაშუადღევს, იაპონიის 17 თვითმფრინავმა იერიში მიიტანა აეროპორტზე მედანში (სუმატრის კუნძულის აღმოსავლეთი სანაპირო). თვითმფრინავებიდან აგრეთვე გადმოსხეს ხაპარაშუტო დესანტი იმ პუნქტში, რომელიც მედანიდან დაახლოებით 10 მილზე მდებარეობს. ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება.

ავსტრალიის თვითმფრინავებმა მინახასის მახლობლად იერიში მიიტანეს იაპონიის მცირე კრეისერზე. ბომბების პირდაპირი მოხვედრის შედეგად კრეისერზე ხანძარი გაჩნდა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 29 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, იაპონიის ჯარებმა მალაიაში გუშინ, შუადღისას, იერიში მიიტანეს ინგლისის ჯარებზე ქალაქ იპოს რაიონში და დაიკავეს იგი. იაპონიის ჯარები წინსვლას განაგრძობენ სამხრეთისაკენ.

იაპონიის ჯარებმა, რომლებიც 24 დეკემბერს ბორნეოს კუნძულის ინგლისური ნაწილის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე გადმოსხდნენ, 28 დეკემბერს დაიკავეს სარავაკის დედაქალაქი—კუჩინგი. იაპონიის ფლოტმა, რომელიც ბორნეოს მახლობელ წყლებში მოქმედებს, ჩასძირა მტრის 2 წყალქვეშა ნავი და ჩამოაგდო 10 თვითმფრინავი. იაპონიის ფლოტმა ერთი ნაღმოსანი და ერთი სანაღმო ტრალერი დაჰკარგა.

ჰავაის კუნძულებსა და ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს შორის მდებარე რაიონში მოქმედმა იაპონიის წყალქვეშა ნავებმა 25 დეკემბრამდე ჩასძირეს ამერიკის 10 სავაჭრო გემი 7 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა და სერიოზულად დააზიანეს 3 გემი 30 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. არის აგრეთვე ცნობები, რომ დაზიანებულია 5 სხვა გემი 40 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

ინგლისის ჯარების ოპერაციები ლიბიაში

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 28 დეკემბერს მტრის ძირითადი ძალები აჯედაბიის რაიონში შეეცადნენ მოეგერიებინათ ჩვენი ნაწილების შეტევა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მტრის კოლონა, რომელიც ტანკების დახმარებით მოქმედებდა, იძულებული გახდა უკან დაეხია, ამასთან მან 6 ტანკი დაჰკარგა.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ავიაციის სარდლობის შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა ლიბიაში შეტევა დაიწყეს, გერმანელებმა და იტალიელებმა 500-მდე თვითმფრინავი დაჰკარგეს. მარტო 18 ნოემბრიდან 23 დეკემბრამდე საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ, მიწაზე მოვსპეთ და აეროდრომებზე ხელთ ვიგდეთ მტრის 476 თვითმფრინავი. ამ პერიოდში ინგლისელებმა 195 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბენგაზიდან იუწყება, რომ ინგლისის ჯავშანსატანკო ჯარებს, რომლებიც 25 დეკემბერს დილით შევიდნენ ბენგაზში, მხოლოდ ქალაქის ნანგრევები დაუხვდათ.

მანილის ბომბარდირების გარშემო

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მანილელი კორესპონდენტის გადმოცემით, ტოკიოს რადიომ ფილიპინების პრეზიდენტ კეზონისათვის გაგზავნილ მიმართვაში განაცხადა, რომ იაპონია თანახმაა მანილა ღია ქალაქად ჩასთვალოს, თუ ფილიპინები წინააღმდეგობის გაწევას შესწყვეტენ და „იაპონიასთან ითანამშრომლებენო“.

გენერალ უეიველის დანიშვნა

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გენერალ უეიველს დაეკისრა პასუხისმგებლობა ბირმის დაცვისათვის. ინგლის-ინდოეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ჰატონი ბირმაში მყოფი ჯარების სარდლად დაინიშნა.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინეთის ჯარებმა, რომლებმაც 26 დეკემბერს ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში კონტრშეტევა დაიწყეს, მეორე დღის განმავლობაში განდევნეს იაპონიის ჯარები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. იაპონიის ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს და იძულებული გახდნენ თავდაცვის ახალ ხაზზე დაეხიათ იოჯოუს სამხრეთით 60-70 კილომეტრზე. ამ რაიონში ბრძოლა გრძელდება.

26 დეკემბერს იაპონელთა კავალერიამ იერიში მიიტანა ცინლუნძაის რაიონში; ჩინელებმა იერიში მოიგერიეს. იაპონიის ჯარის ნაწილები ცდილობენ გადალახონ მდინარე მილო, მაგრამ ჩინეთის არტილერია წინააღმდეგობას უწევს ამ ცდას და მტერს ზარალს აყენებს.

ჩერჩილი კანადაში ჩავიდა

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ოტავიდან იუწყება, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი კანადაში ჩავიდა.

საახალწლო საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლთათვის

საქართველოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ძირეულმა ორგანიზაციებმა სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლებს საახალწლოდ დიდძალი საჩუქრები გაუგზავნეს. საჩუქრების შეგროვებაში განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საჯარო ბიბლიოთეკის, საქართველოს მუზეუმის, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის, კრუპსკაიას და გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკების მუშაკებმა, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის ფოთის და ლანჩხუთის სარაიონო კომიტეტებში და 26 კომისრის რაიონის ადგილკომში გაერთიანებულმა მუშაკებმა.

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის მხოლოდ 10 ორგანიზაციამ წითელ მებრძოლებს საახალწლოდ გაუგზავნა 1009 კოლოფი თამბაქო, 450 კოლოფი პაპიროსი, 6 კგ. პაპიროსის ქაღალდი, 240 კილოგრამი ხმელი ხილი, 170 კგ. კონფეტი, 160 კგ. გალეტი, 51 შუშა ოდეკოლონი, 325 კოლოფი პუდრი, 76 ცალი ხელის საპონი, 212 თბილი საცვალი და სხვ.

* * *

საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებმა ამ დღეებში ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლებს გაუგზავნეს 44.164 მანეთის საახალწლო საჩუქრები.

თბილისის სტალინის რაიონმა გაგზავნა 13.909 მანეთის ღირებულების საახალწლო საჩუქრები, ბერიას რაიონმა — 10.902 მან., ორჯონიკიძის რაიონმა — 9.361 მან., თბილისის საგარეუბნო რაიონმა — 3.945 მან., ლენინის რაიონმა — 3.440 მან., 26 კომისრის რაიონმა — 1.627 მან. და კიროვის რაიონმა — 980 მანეთისა.

* * *

გორის რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებს საახალწლოდ გაუგზავნეს 300-მდე ამანათი — წონით 4500 კილოგრამი. რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაკებმა შეიძინეს და გაგზავნეს 996 მანეთის საჩუქარი, მათ შორის 6 კილოგრამი თაფლი, 10 კილოგრამი გოზინაყი, 2 ყუთი პავიდლო, 4 კილოგრამი ნიგოზი, 19 ალმა ჩირი, 79 კოლოფი პაპიროსი და სხვ. გორის თეატრის მუშაკებმა მებრძოლებს გაუგზავნეს 800 მანეთის თამბაქო, ჩირი, ოდეკოლონი, ძაფი, სარკეები და სხვ.

მეომრებს საჩუქრები უხვად გაუგზავნეს აგრეთვე საქვაჭრობის მუშაკებმა და სოფ. ბერბუკის, ტყვიავის, ოძისის და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

* * *

თიანეთის რაიონის მშრომელები უხვად ამზადებენ და გზავნიან საახალწლო საჩუქრებს წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისათვის. 30 დეკემბერს უკვე გაგზავნილი იყო 33 ამანათი, წონით 436 კილოგრამი.

მტს-ის მუშაკებმა წითელი არმიის გმირ მებრძოლებს უკვე გაუგზავნეს: 20 კილოგრამი ღორი, 10 კილოგრამი ღორის ახალი ხორცი, 80 კოლოფი პაპიროსი, 15 შეკვრა თამბაქო, 6 კილოგრამი ხილი, 5 წყვილი თბილი წინდები და ხელთათმანები. რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომელთა მიერ მებრძოლებისათვის გაგზავნილია 15 კილოგრამი ღორი, 7 კილოგრამი ღორის ახალი ხორცი, 5 კილოგრამი ნამცხვარი, 3 კილოგრამი გოზინაყი, 10 კილოგრამი კონფეტი, 70 კოლოფი პაპიროსი, 10 კილოგრამი თამბაქო და სხვ.

სოფ. საყდრიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ შორის შეაგროვეს და გაგზავნეს 30 კილოგრამი ღორი, 30 კილოგრამი ღორის ახალი ხორცი, 560 მანეთის თამბაქო და პაპიროსი, 45 წყვილი წინდა და ხელთათმანი, 5 კილოგრამი ხილი, აგრეთვე ნამცხვარი და სხვ.

საჩუქრებს გულუხვად გზავნიან აგრეთვე დანარჩენ კოლმეურნეობათა წევრები.

* * *

ყაზბეგის რაიონის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელოვანი წითელი არმიის გმირი მებრძოლებისათვის საახალწლო საჩუქრების მომზადებასა და გაგზავნაში. ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მებრძოლებს უკვე გაუგზავნეს 18-კილოგრამიანი ამანათი, უმთავრესად პაპიროსი, თამბაქო, საპონი და სხვ. ამ კოლმეურნეობის წევრები ახლა გასაგზავნად ამზადებენ ყველს და ერბოს.

ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლების მიერ გაგზავნილია 35 კილოგრამი თამბაქო, პაპიროსი, კონფეტები, რვეულები, ოდეკოლონი და სხვ. ანდეზიტის მუშაკებმა მებრძოლებს გაუგზავნეს 2 ამანათი —წონით 47 კილოგრამი, უმთავრესად თბილი ტანსაცმელი, პაპიროსი, ასანთი და სხვ. ყაზბეგის რაიკოოპკავშირის მუშაკთა მიერ მებრძოლებისათვის გაგზავნილი რვეულები, ბლოკნოტები, ფანქრები, ოდეკოლონი, ხელის საპონი და სხვა შეადგენს 22 კილოგრამს.

სოფ. სნოს საშუალო სკოლის მუშაკებისაგან წითელი არმიის მებრძოლებს გაეგზავნა 17 კილოგრამი კარაქი, ყველი და ღორი, სოფ. სიონის არასრული საშუალო სკოლის პიონერებისაგან — 6-კილოგრამიანი ამანათი, ამავე სკოლის კომკავშირელებისაგან—8-კილოგრამიანი, ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთაგან—63-კილოგრამიანი ამანათი და სხვ.

წითელი არმიის მებრძოლებს საჩუქრები უხვად გაუგზავნეს აგრეთვე სოფ. კობის მესამე ინტერნაციონალის სახელობის, სოფ. გარბანის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

გარდა ამისა, ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეებმა წითელი არმიის ერთერთ ნაწილს საჩუქრად გაუგზავნეს 101 კილოგრამი ყველი, 11 კილოგრამი ერბო და 8 ცხვარი.

ციტრუსების უხვი მოსავალი საბჭოთა კავშირის მშრომელებს

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელები საახალწლოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში უხვად გზავნიან ციტრუსებს. მოსკოვის მშრომელებს უკვე გაეგზავნათ 203 ვაგონი მანდარინი, კუიბიშევის მშრომელებს—667 ტონა მანდარინი. ციტრუსები უხვად გაიგზავნა აგრეთვე ალმა-ატაში, ნოვოსიბირსკში, შუა აზიაში და სხვ.

ს. ჟურაშვილი

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში

მრავალნაირ გასართობს უმზადებს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე საზამთრო არდადეგების დღეებში (31 დეკემბრიდან 10 იანვრამდე) თბილისის პიონერებსა და ოქტომბრელებს.

31 დეკემბერს, 1, 2, 3 და 4 იანვარს სასახლის სამ დიდ დარბაზში მოეწყობა ილუმინირებული საახალწლო ნაძვისხეები, რომლებთანაც მიპატიჟებული არიან თბილისის პიონერები და ოქტომბრელები.

31 დეკემბერს საღამოს პიონერთა სასახლეში დაიწყება აგრეთვე პიონერული კინოფესტივალი, რომელიც გაგრძელდება 10 იანვრამდე. კინოფესტივალზე პიონერებს უჩვენებენ პატრიოტულსა და თავდაცვითი შინაარსის და აგრეთვე საბავშვო ფილმებს.

საახალწლო ნაძვისხეებთან ბავშვების სტუმრობა გაიმართება ყოველდღე 10 იანვრამდე.

პიონერ-მოჭადრაკეთა საქალაქო ტურნირი

ახალწლის წინა საღამოს, 5 საათზე, პიონერთა სასახლის საჭადრაკო დარბაზში დაიწყება პიონერთა საქალაქო საჭადრაკო ტურნირი საქალაქო პირველობის მოსაპოვებლად. ტურნირში მონაწილეობს 40-ზე მეტი ძლიერი მოჭადრაკე პიონერი.

ტურნირის ხელმძღვანელად მოწვეულია ნ. სოროკინი.

ერდელის და სმირნოვას კონცერტი

3 იანვარს საქფილარმონია რუსთაველის საკონცერტო დარბაზში აწყობს დამსახურებული არტისტის კ. ა. ერდელისა (ჩანგი) და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის სოლისტის ზ. ა. სმირნოვას კონცერტს. პროგრამაშია გლიერის, მიასკოვსკის, პროკოფიევის, ფალიაშვილის, მჭედლიშვილის და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების მიერ დამუშავებული ძველი ხალხური სიმღერები.

მწერალთა კლუბში

2 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში გაიმართება ირაკლი აბაშიძის შემოქმედების საღამო.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი და 26 კომ. სახ. — „სომხური კინოკონცერტი“, **ოქტომბერი** — „ანტონ ივანესძე ჯავრობს“, **სპარტაკი** — „პატარა დედა“, **ლუქსემბურგის სახ.** — „კუზიანი კვიცი“, **კომინტერნი** — „ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდებოდა“, **მეცნიერება და ცოდნა** — „ლიანდაგებზე“.

თეატრებში

სახოპერა — 31 დეკემბერს — „ტოსკა“, 1 იანვარს — „ქეთო და კოტე“, **რუსთაველის სახელობის** — 31 დეკემბერს—„პროფესორი მამლოკი“, 1 იანვარს დღისით და საღამოს — „რღვევა“, 2 იანვარს—„დალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—31 დეკემბერს—„ცხვრის წყარო“, 1 იანვარს — „მილიონთა რისხვა“, 1 იანვარს დღისით—„მკაცრი ქალიშვილები“, 2 იანვარს — „ხოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. **სანკულტურის**— 1 იანვარს — ერთმოქმედებიანი პიესების საღამო, 2 და 3 იანვარს დღისით—კინო-ლექცია, 3 იანვარს — „ოქროს ვერძი“. **მუსიკალური კომედიის** — 31 დეკემბერს — „ხაჯარათი“, 1 იანვარს — დღისით „ხაჯარათი“, 1 იანვარს — „ცისფერი ხალიჩა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 31 დეკემბერს — კონცერტი (აბ. გარეშე).

თბილისის სახცირკი

დიდი საცირკო სანახაობა. განახლებული სადღესასწაულო პროგრამა. ახალი გასტროლიორები, ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

1 იანვარს ჭიდაობენ: **ბაბალიკაშვილი** — **ტიურინი, სტრიჟაკი** — **პლიახულია, ბიკოვი** — **ვსევოლოდ ხერცი, ზაგორუიკო** — **ვიდრიაკოვი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. ჯანსახკომის კურორტთა მთავარი სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა, პროფორგანიზაციათა და სამკურნალო დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ

კურორტ წყალტუბოში და აბასთუმანში სანატორიუმების

საგზურის შეძენა შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოს კურბიუროში: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 1, ტელ. № 3-52-25, 3-82-41 და აგრეთვე ადგილებზე სანატორიუმებში.

417 საქ. კურორტთა მთავარი სამმართველო.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო იუწყება ამხ. კ. ბარიგიანის მამის

ისაკი კარაპეტის-ძე ბარიგიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება 31 დეკემბერს 5 საათზე (ლენინის ქ. № 85).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან ამხ. კარლო ბარიგიანის მამის

ისაკი კარაპეტის-ძე ბარიგიანის

გარდაცვალებას.

საშა, გრიგოლ, ნუცა ბუხნიკაშვილები და ვუვული მელაძე იუწყებიან სიძის კარლო ბარიგიანის მამის

ისაკი ბარიგიანის

გარდაცვალებას. 12634

ვ. დევაძე და ე. ლაქტიონოვი იუწყებიან ამხ. კარლო ბარიგიანის მამის

ისაკი ბარიგიანის

გარდაცვალებას. 12634

საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის და თბილისის ბაზის პარტიული ორგანიზაცია, დირექცია და ადგილკომი იუწყებიან

ალექსი (ალიოშა) კონსტანტინეს-ძე ლოლოგერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/I ქუთაისში. 12635

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის დირექცია იუწყება ბიჭიკო ხუხუნაშვილის მამის

ნიკიფორე გიორგის-ძე ხუხუნაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/XII 8 ს. გამოსვენება 1 იანვარს, 1 ს. გერცენის ქ. № 6. 12633

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—94. სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. უე 4478